MES 3 20 00427225

03/06/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 19 მაისს.**
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.authorization**
JoingZoomMeeting
https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09
Zoom Meeting ID: 833 0209 0421

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
ანა საბახტარაშვილი - ა(ა)იპინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ნოდარ მამინაიშვილი - ა(ა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრის „მზიანი სახლი“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომად გენლები:

კახაბერ ერაძე - დირექტორის მოადგილე;
ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხრისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
საბა ელაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.
ზურაბ მარკელია - ინსტიტუციური თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების განვითარების ქვეპროგრამის თვითშეფასების კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი ,,მერმისი“
ნონა ღუდუშაური - დირექტორი

სსიპ - კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორი
თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი
მაია ომიაძე - იურისტი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიეტეტი
თეონა ხუფენია - რექტორი
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი
მანანა ჭანტურია - პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“
ნინო ბაკურაძე - დირექტორი

ექსპერტები:
ია გიგიბერია,
ინგა ბოჭოიძე,
მანანა მოისწრაფიშვილი,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ნინო მოწყობილი,
თეა ლილუაშვილი,
ქეთევან გელაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა კომენტარის გაკეთება ითხოვა. მან განაცხადა, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს თავმჯდომარე, ნანა ყუფუნია, საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა სხდომას, ცენტრთან შეთანხმებით და საბჭოს წევრების თანხმობით, საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას შეასრულებდა მარიამ ჩაგელიშვილი. საბჭოს ყველა წევრმა თანხმობა განაცხადა აღნიშნულთან დაკავშირებით, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივნად დაასახელა საბჭოს წევრი, შორენა ჯაფარიძე, რომელმაც თანხმობა განაცხადა და ასევე საბჭოს ყველა წევრმა გამოხატა თანხმობა საბჭოს მდივნის ფუნქცია დაკისრებოდა შორენა ჯაფარიძეს.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „სასტუმროს მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „დეკორატიული მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობა ითხოვა დღის წესრიგთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ დღის წესრიგში ოთხი საკითხის გარდა, სადაც ერთი, მეოთხე საკითხი, საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების საკითხია, სამსახურს თხოვნა და შუამდომლობა აქვს, დაემატოს კიდევ 8 საკითხი, რომლებიც ასევე ცვლილებებს ეხება გადაწყვეტილებებში და თუ იქნება შესაძლებლობა დღის წესრიგის თავში გადავიდეს ცვლილებების საკითხი და შემდეგ იქნას განხილული სხვა დანარჩენი საკითხები, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ცვლილებები არსებით მსჯელობას და განხილვას მოითხოვს.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემდეგი სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №35 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №200 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N55 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე-ხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
11. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „სასტუმროს მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;

12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „დეკორატიული მებაღეობის“საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შუამდგომლობა არ ჰქონიათ.

1. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილება ეხებოდა დაწესებულების მისამართს. დაწესებულების მისამართი არის გურამიშვილის ჩიხი N9ა, თუმცა გადაწყვეტილებაში წერია მხოლოდ გურამიშვილის N9ა. ამდენად, დაწესებულებამ ითხოვა, რომ სწორად აისახოს დაწესებულების მისამართი და ჩასწორდეს ეს პარამეტრი, შესაბამისად, ყველა პროგრამის განხორციელების ადგილად მიეთითოს - ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი N9ა. ნანი დალაქიშვილმა აქვე განმარტა, რომ შუამდგომლობა ატვირთულია მასალებში და მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნაში სამი გადაწყვეტილებაა მითითებული, საკმარისი იქნება ერთი ძირეული გადაწყვეტილების დაკორექტირება, რადგან მასში ყველა პროგრამაა ასახული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

2. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №35 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №200 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხება კოლეჯი ,,იბერიის“ ორ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, ორივე ცვლილება დაკავშირებულია კვალიფიკაციის კოდის ცვლილებასთან, შესაბამისად, ორივე საკითხი ერთად წარმოადგინა. მან განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ახალი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცდებით, რომელთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულებაც დაწესებულებებს აქვს 2020 წლის სექტემბრის ბოლომდე, მაგრამ რადგან ანკეტა-კითხვარების შევსებისათვის და შემდგომ მიღების გამოცხადებისთვის საჭიროა კვალიფიკაციის ოთხნიშნა კოდი. ცვლილება უნდა შევიდეს 2017 წლის 21 სექტემბრის N35 გადაწყვეტილებაში და ინფორმაციის ტექნოლოგიის ექვსნიშნა კოდი ჩანაცვლდეს ოთხნიშნათი და ასევე 2018 წლის 13 დეკემბრის N200 გადაწყვეტილებაში კულინარიის ხელოვნების ექვსნიშნა კოდი ჩანაცვლდეს შესაბამისი ოთხნიშნა კოდით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №35 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №35 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №200 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №200 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 3).

4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

შემდგომი ორი საკითხი, როგორც ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ გადაწყვეტილებებში ცვლილებებია. ,,ახალ ტალღას“, 2017 წლის 22 სექტემბრის N50 გადაწყვეტილებით განხორციელების უფლება აქვს მინიჭებული ,,სასტუმრო მომსახურების“, „სარესტორნო მომსახურებისა“ და „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამებზე. ხოლო 2019 წლის 22 მარტის N83 გადაწყვეტილებით, „კონდიტერიის“ პროგრამაზეც. კოლეჯმა ,,ახალმა ტალღამ“ გადახედა თავისი პროგრამების შინაარს და წარმოადგინა ცენტრში შუამდგომლობა, რომ დაამატა გარკვეული სწავლის შედეგები, კერძოდ, ,,ბარის ორგანიზების“ მოდული. ოთხივე პროგრამის საფუძველი არის ერთი -სასტუმრო, რესტორანი და კვების ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც ,. ბარის ორანიზების მოდული არის ერთ-ერთი არჩევითი. შესაბამისად, ითხოვენ, მოხდეს განხილვა და საბჭოს გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ამგვარ შემთხვევებში ცენტრს/სამსახურს შეუძლია, თავად განიხილოს ან ექსპერტები აიყვანოს და მათ გააკეთონ შესაბამისი დასკვნა. თუკი შინაარსობრივად სიღრმისეული ცვლილებები არ არის პროგრამაში, სამსახურს შეუძლია თვითონ შეისწავლოს ეს საკითხი და დადოს დასკვნა. აქვე დაამატა, რომ საბჭოს მასალებში წარმოდგენილია ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის, ნინო სტეფანიშვილის სამსახურებრივი ბარათი, რომელმაც შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამები და სამსახური შუამდგომლობას სთხოვს საბჭოს ამ ორ გადაწყვეტილებაში, კრედიტების ნაწილში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, თითოეულ პროგრამას დაემატოს 8 კრედიტი. შესაბამისად, ასევე გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. „სასტუმრო მომსახურების“, „სარესტორნო მომსახურებისა“ და „კულინარიის ხელოვნების“, "კონდიტერიის" პროგრამებს ემატება არჩევითი მოდული "ბარის ორგანიზება", შესაბამისად იცვლება სწავლის შედეგები და პროგრამებზე გათვალისწინებული კრედიტების ჯამური რაოდენობა. „სასტუმრო მომსახურების“, „სარესტორნო მომსახურებისა“ და „კულინარიის ხელოვნების“ კრედიტების რაოდენობის თაობაზე ცვლილება უნდა შევიდეს 2017 წლის 22 სექტემბრის N 50 გადაწყვეტილებაში და „კონდიტერიის“ პროგრამის კრედიტების თაობაზე ცვლილება უნდა შევიდეს 2019 წლის 22 მარტის N83 გადაწყვეტილებაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 4). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 მაისი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 5).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 მაისი.

6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N55 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი ამ შემთხვევაში ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანას ეხება. ეს საკითხიც შეისწავლა სამსახურმა. შეიცვალა ბიბლიოთეკარის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის სახელწოდება გახდა „საბიბლიოთეკო საქმე“ და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში“. შესაბამისად, დასაკორექტირებელია კვალიფიკაციის კოდიც. გადაწყვეტილებების პროექტები გადმოგზავნილია, საკითხი შეისწავლა სამსახურმა და აღნიშნულ საკითხზე დაიდო დასკვნები, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ პროგრამის მოდიფიცირება სწორადაა განხორციელებული. ამ შემთხვევებშიც ექსპერტების ჩართვა არ იყო აუცილებელი და სამსახური უფლებამოსილი იყო, თავად შეესწავლა ეს საკითხი. შესაბამისად, თხოვნაა, ცვლილება შევიდეს გადაწყვეტილებებში.
ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო სტეფანიშვილმა დაამატა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას დებულების მიხედვით აქვს ვალდებულება, რომ

გვაცნობოს იმ შემთხვევაში, თუკი უკვე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს დატოვებს პროგრამის მოდიფიცირებამდელ ვერსიაზე, რაზეც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე ჩარიცხული სტუდენტები დაამთავრებენ ძველი კვალიფიკაციით და მიენიჭებათ ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, ხოლო რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მათ გამოგზავნილ დადგენილებაში, დაფიქსირებულია, რომ უკვე ჩარიცხული სტუდენტები გადაყავთ მოდიფიცირებულ ვერსიაზე და დაამთავრებინებენ ახალი კვალიფიკაციის მიხედვით.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ ასეთ შემთხვევაში, რადგანაც პროფესიული განათლების შესახებ კანონის მერვე მუხლის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაასრულოს ის პროგრამა, რომელზეც ჩაირიცხა, თუმცა სტუდენტების თანხმობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია სწავლა გააგრძელებინოს მოდიფიცირებულ პროგრამაზე შესაბამისი პროცედურების დაცვით, და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაშიც (emis) შესაბამისად აისახება კვოტების სტატუსი განახლებულ პროგრამაზე. იგივე სახის მოდიფიცირებას უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხიც, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს 2018 წლის 27 აგვისტოს N55 გადაწყვეტილებაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №4 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 6).

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N55 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 7).

8. სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

როგორც ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, საკითხი ეხება ვეტერინარიის პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილებას. აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის საბჭოს ორი სხდომის განხილვის საგანი იყო და ასოცირებული ხარისხის თემას ეხებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯმა ეს პროგრამა დაიმატა 2020 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით და მის შემდეგ 18 თებერვალს შეიცვალა ჩარჩო დოკუმენტებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაწესებულება ითხოვს, შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან. მათ პროგრამა უკვე მოიყვანეს შესაბამისობაში, პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში. ჯერ სტუდენტები არ მიუღიათ აღნიშნულ პროგრამაზე, ამდენად აქ არ დგას სტუდენტების მოდიფიცრებულ პროგრამაზე გადაყვანის საკითხი. მიღება გამოცხადდება მოდიფიცირებული მისანიჭებელი კვალიფიკაციით, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს 2020 წლის 7 თებერვლის N12 გადაწყვეტილებაში და ვეტერინარიის მისანიჭებელი კვალიფიკაციად განისაზღვროს „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში“ და დონე - მეხუთე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №12 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 8)

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე-ხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხებაექვსიპროგრამისკვალიფიკაციისკოდების ცვლილებას. გამომდინარე იქიდან, რომ ანკეტა-კითხვარში ეს პროგრამები უნდა აისახოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის

ოთხნიშნა კოდით. აღნიშნულ ცვლილებებს საჭიროებს შემდეგი პროგრამები: რეპორტიორი, ტელე-რადიო წამყვანი, ვიდეო ოპერატორი, ტელე-რეჟისურა, ეთერის დიზაინერი, ვიდეო მონტაჟი. პირველი ორის კოდი უნდა გახდეს - 0321, დანარჩენი ოთხი პროგრამის კვალიფიკაციის კოდია - 0211. შემდეგ ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა ითხოვა საბჭოს წევრების თანხმობა, ცვლილება განხორციელდეს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე-ხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელე-ხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 9).

10. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხისგანხილვა

ექსპერტმა, ვახტანგ ბოგველიშვილმა, განაცხადა, რომ ვიზიტი სსიპ - კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 3 მარტს. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელთან; საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; საგანამანთლებლო

პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა) და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დაწესებულების წინაშე წარადგინეს ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია - კატალოგის ბოლოში განთავსებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესებსაც.

რაც შეეხება აღნიშნულ ვიზიტზე ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მათი გათვალისწინება მოხდა ერთ შემთხვევაში, ვიზიტის მსვლელობისას, ხოლო რეკომენდაციების მეორე ნაწილი შესრულდა მას შემდეგ, როდესაც დაწესებულება გაეცნო ექსპერტთა დასკვნის პროექტს. გათვალისწინებულ იქნა ყველა არსებული რეკომენდაცია. რეკომენდაციების ნაწილი ეხებოდა შეფასების ნაწილს, ვერიფიკაციას. კერძოდ, ვერიფიკაცია ხორციელდებოდა კოლეჯში დანერგილი პროფესიული სტუდენტების შეფასებისა და ვერიფიკაციის მოქმედი რეგულაციის მიხედვით. შეფასების განხორციელებამდე 10 სამუშაო დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზადდებოდა ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით. ხარისხის მართვის მენეჯერი ჩართული იყო შეფასების განხორციელებამდე ინსტრუმენტის შემუშავებაში, მათთვის საბოლოო ფორმის მიცემაში. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს შიდა ვერიფიკატორს და სწავლის შედეგის დადასტურებამდე, თვითონ არ უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში, რადგან თვითონ არის შემდეგ განხორციელებული შეფასების შემმოწმებელი. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით, გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც კოლეჯის მიერ იქნა გათვალისწინებული.

რეკომენდაციის მეორე ნაწილი ეხებოდა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას. ამ შემთხვევაში, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემოდა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, სათანადო აღრიცხვის მიზნით. იქიდან გამომდინარე, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს არაერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული დაგეგმვის, შეფასების, შემოწმების, განვითარების, მონიტორინგის მიმართულებებით, ეს პროცესი უმჯობესი იქნებოდა გადასცემოდა კონკრეტულად სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რაც გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის შემოწმებისას, ადგილზე არ აღმოჩნდა ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ადგილზევე გამოასწორეს და წარმოადგინეს ელექტრონული სახით. სხვა მხრივ ყველაფერი შესაბამისობაში იყო.
შემდეგ ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ვიზიტის მსვლელობისას გადაღებული ფოტოები, კერძოდ, ლაბორატორია ზოგადი მოდულების ინტეგრირებისთვის, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის, ასევე აუდიტორიებისა და ბიბლიოთეკის ფოტოები, სადაც რესურსები შესაბამისობაში იყო სარეკომენდაციო ნუსხით გათვალისწინებულ სიასთან, რომელიც საჭიროა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის.

ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ იგი ასევე იმყოფებოდა ავტორიზაციის ვიზიტზე, როდესაც დაწესებულება იმატებდა აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების პროგრამას და შესაბამისად, პროგრამას და მის რესურსებს იცნობს ძალიან კარგად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს

პროგრამის ხელმძღვანელის საკითხი, ვინაიდან წინა ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულება დაწესებულებას არ ჰქონდა და შესაბამისი არგუმენტებიც ჰქონდა. აქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებას ტოპოგრაფიული სპეციალისტის მომზადების მდიდარი გამოცდილება აქვს, და ჰყავს შესაბამის სფეროში მომუშავე ძლიერი პარტნიორი ორგანიზაციები.

ცენტრის წარმომადგენელი, ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა, ექსპერტთა დასკვნაში რამდენადაა ის რეკომენდაციები ასახული, რაც ექსპერტმა პრეზენტაციაში წარმოადგინა ასევე, 2.3 კომპონენტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ მონიშნულია ,,მეტწილად შესაბამისია". თუმცა აღწერის ნაწილში ეს არ იკვეთება და ექსპერტს არ უხსენებია, რომ რაიმე რეკომენდაცია ამ ნაწილში ჰქონდათ. ხომ არ განმარტავდა, ექსპერტი ამ საკითხებს.

ექსპერტმა უპასუხა, რომ რაკი დაწესებულებამ მოახდინა რეაგირება და საბოლოო ვერსიისთვის შესაბამისობაში მოიყვანა ეს რეკომენდაციები, შესაბამისად, შინაარსობრივად დატოვა სტანდარტის ამ ქვეპუნქტთან მიმართებაში. რაც შეეხება შეფასებას, ,,მეტწილად შესაბამისია". ეს კითხვა გაჩნდა ექსპერტების მხრიდანაც, რაზედაც დაწესებულებამ განმარტა, რომ რადგანაც არ განხორციელებულა ჯერ შეფასება ფიზიკურად, არ იციან ჯერ სრულ შესაბამისობაშია თუ არა, შესაბამისად, ისინი თვლიან, რომ გადაჭარბებული იქნებოდა მათი მხრიდან ასეთი თვითშეფასება და „სრული შესაბამისობა" არ მიუთითეს.

მანანა მოისწრაფიშვილმა დაამატა, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული შეფასების მექანიზმი, თუმცა, ვინაიდან კოლეჯმა აზომვით-ტომოგრაფიული სამუშაოების შესრულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უფლება მოიპოვა 2019 წლის 10 ივლისს და ჯერ დასრულებული არ აქვს, კურსდამთავრებულები არ ჰყავს. იგეგმება 2020 წლის გაზაფხულზე ამ პროცესის დასრულება და შეფასება. ამიტომ დაწესებულებას თავად ჰქონდა ეს ნაწილი მეტწილ შესაბამისობაში შეფასებული. ეს დაწესებულების მოსაზრებაა და ექსპერტთა ჯგუფი ასევე ეთანხმება.

საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა იკითხა, თუ რატომ არ არის დასკვნის ტექსტში ასახული რეკომენდაციები გამოტანილი შეჯამებაში.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დასკვნაში წესისამებრ ასახულია რეკომენდაციები და გარემოებები, რომლებიც დახვდათ და რეკომენდაციების გაცემის პროცესში გამოსწორდა ან დაწესებულების მიერ შესაბამისი არგუმენტებით განიმარტა. შესაბამისად, ექსპერტმა რეკომენდაციების შეჯამებაში, მეშვიდე თავში აღარ გადაიტანა რეკომენდაციები და დატოვა მხოლოდ იმ ქვეპუნქტის ქვემოთ, რომელსაც ისინი უკავშირდებოდა.

ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა დაამატა, რომ რეკომენდაციები დაკვნის პროექტში მითითებული იყო, მაგრამ შემდგომ, როცა დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა , ეს რეკომენდაცია იყო მათ მიერ მოხსნილი და შესაბამისად, რეკომენდაციად აღარ დარჩა. თუმცა დასკვნაში, რომელიც საბოლოოდ ჩაბარდა დაწესებულებას, აღწერითი ნაწილიდან არ წაშლილა, აღწერილია ფაქტობრივი გარემოება და ასევე მითითებულია, რომ მიიღეს დაწესებულებიდან არგუმენტირებული პოზიცია. რაც შეეხება, მეორე რეკომენდაციას, ეს იყო - ო' ჰენრის ერთი ნაწარმოები, რომელიც არ ჰქონდა დაწესებულებას ჩამოტვირთული, მაგრამ იყო ინტერნეტში ხელმისაწვდომი. ადგილზე შენიშვნის მიცემისთანავე, დაწესებულების წამომადგენლებმა ჩამოტვირთეს აღშნიშნული ნაწარმოები. შესაბამისად, ექსპერტებმა ეს გარემოება არ ჩათვალეს რაიმე სირთულედ. თუმცა, ესეც ასახულია დასკვნაში, რომ არ იყო და გასწორდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა,თამარ გიორგობიანმათქვა, რომ პირველი მიღება მათ მოდულურ პროგრამაზე შემოდგომაზე განახორციელეს და შესაბამისად არ იქნებოდა რელევანტური შეფასების განხორციელება ნოემბრიდან ან დეკემბრიდან და ამიტომაც დაწერეს „მეტწილი შესაბამისობა“ სტანდარტთან.

დაწესებულების დირექტორმა, ნოდარ ხარაზიშვილმა, მადლობა გადაუხადა მთლიანად პროცესში მონაწილე მხარეებს და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ინტეგრირებული მოდულების დანერგვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, სამინისტროს და ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც ყოველთვის მზად იყო კონსულტაციებისთვის. მან განმარტა, რომ გარე მხარდაჭერა და ექსპერტების რეკომენდაციები მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მათთვის, რადგან არ აპირებენ ერთ პროგრამაზე გაჩერებას სხვა პროგრამებშიც გეგმავენ ინტეგრირებული მოდულების დანერგვას.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საბჭოს წევრებს. რადგან დამატებითი შეკითხვები არ დასმულა, საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა გაწეული სამსახურისთვის როგორც ექსპერტთა კორპუსის, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ არიან ასეთი აქტიურები და ერთ-ერთი პირველნი აღნიშნული სიახლის დანერგვის პროცესში, ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებაში. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამის დასაბუთებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ავტორიზაციის დებულება ძალაში ახალი შესულია, დაწესებულება დროის თვალსაზრისით ფიზიკურად ვერ შეძლებდა მათ მიერ შემუშავებული მექანიზმით აღნიშნული შეფასების განხორციელებას. საბჭოს საფუძველი არ აქვს, საფუძვლიანად და მისაღებად მიიჩნიოს ექსპერტთა შეფასება ,,მეტწილი შესაბამისობა“. საბჭო ფიქრობს, რომ აღნიშნული შეფასება უნდა შეიცვალოს უკეთესობისკენ - დაწესებულება 2.3 კომპონენტში სრულად შეესაბამება სტანდარტს. ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში საბჭოს ყველა წევრი ერთსულოვანია და თვლის, რომ სამაგალითოა ასეთი თვითკრიტიკა დაწესებულების მხრიდან და მისაბაძი მაგალითია სხვა დაწესებულებებისათვის, რომ არ შეშინდნენ და იყვნენ მაქსიმალურად თვითკრიტიკულები, რაც, რა თქმა უნდა, სამომავლოდ მათი განვითარების საფუძველია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 10).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 მაისი.

11. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „სასტუმროს მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა
პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა ია გიგიბერიამ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 13 მარტს, ქალაქ ფოთში, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ განხორციელდა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების თაობაზე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

„სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზანია, საბაზო განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად, სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით. ვიზიტის განხორციელებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად, განხორციელდა ყველა აქტივობა. კოლეჯი მდებარეობს ქალაქ ფოთში, რომელიც დაარსებულია 1957 წელს. კოლეჯი ფლობს ISO სერტიფიკატს ხარისხის უზრუნველყოფის მართვა, რაც არამხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობის, არამედ კოლეჯის ყველა პროცესის ხარისხის მენეჯმენტის კარგი მექანიზმია. კოლეჯს ჰყავს არაერთი პარტნიორები, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც წარმატებითიყენებს. „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამას კოლეჯი ახორციელებს 2012 წლიდან. აქვს ორი სასწავლო გეგმა, მოდულური და ინტეგრირებული.

სსიპ - კოლეჯი „ფაზისის“ გადაწყვეტილებით, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელება შეესაბამება, როგორც კოლეჯის მისიას, ასევე სტრატეგიული გეგმას და 2020 წლის სამოქმედო გეგმას, რომელშიც, მათ შორის, გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "სასტუმრო მომსახურება" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების დანერგვის პროცედურები.
„სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. კერძოდ, არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისას პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, დაიშვებიან

საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. „სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს “საწარმოო პრაქტიკა“, რომლის წინაპირობა არ განსხვავდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობისგან და ლოგიკურ კავშირშია პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. კოლეჯი მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელებას აპირებს ორ კომპანიაში: სასტუმროებში „პარაგრაფი“ და „ვილარეტა“. კოლეჯს ორივე კომპანიასთან აქვს დადებული მემორანდუმი, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება–მოვალეობები.

პროგრამის სახელწოდება ასრულებს პროგრამის იდენტიფიცირების ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

„სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ პროგრამის შემუშავების საფუძველია: ჩარჩო დოკუმენტი-სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering- სარეგისტრაციო ნომერი: 10117-პ ; 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტაციაა: მოდულები და სასწავლო გეგმა (არაინტეგრირებული სასწავლო გეგმა და ინტეგრირებულ პროგრამისათვის სასწავლო გეგმა, რომელიც გაწერილი 3 წელზე), ადამიანური რესურსი, C გარემოს მოდელი, აღჭურვილობა. სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის საფუძველზე, შემუშავებული აქვს „სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება, რის მიხედვითაც, გეგმავს 15 ადგილის გამოყოფას. არის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.პროგრამის ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდში არსებულ საგანმანათლებლო რესურსთან. ასევე, განსაზღვრულია ადამიანური და მატერიალური რესურსი.

ექსპერტმა წარმოადგინა ფოტოები აუდიტორიის, სადაც თეორიული ნაწილის შესწავლა მიმდინარეობს და ბიბლიოთეკის, სადაც ხელმისაწვდომია ყველა საჭირო ლიტერატურა.

დარგის სპეციალისტმა, ნინო მოწყობილმა, დაამატა, რომ C გარემო ძალიან მიახლოებულია სასტუმროს სტანდარტთან, განსაკუთრებით ადმინისტრაციის ნაწილი, მისაღები. ამის შემდეგ უშუალოდ განთავსების ოთახია, სადაც საძინებელია წარმოდგენილი, კარადა, სხვადასხვა წვრილმანი ნივთები, რაც სასტუმროს ოთახისათვის არის აუცილებელი. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს არის რესურსი, რომელიც სიმულაციური ჩვენებისთვის გამოდგება. ოთახში ასევე წარმოდგენილია სველი წერტილი, რაც სრულად არ არის სასტუმროს შესაბამისი. მთლიანად ოთახსაც აქვს გარკვეული ხარვეზები, რაც სრულ შესაბამისობაში ვერ მოიყვანს სიმულაციურ სასტუმროს ოთახთან, მაგრამ ექსპერტის თქმით, მათ ჩათვალეს, რომ ეს ხარვეზები შეიძლება

დაფარული იყოს პარტნიორი კომპანიების - სასტუმრო ,,ვილარეტასა“ და ,,პარაგრაფის“ მიერ, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები. ასევე, იქედან გამომდინარე, რომ სტუდენტის ზღვრული რაოდენობა მხოლოდ 15-ით არის განსაზღვრული, არსებული C გარემო, როგორც სიმულაციური ოთახი, საკმარისია. საწარმოო პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პროცესში.

რესურსების დანაკლისთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულებები, ხელშეკრულებაში მოწოდების ვადად დასახელებულია 2020 წლის მარტი.

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია:

- ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ კანდიდატებს გააზრებული აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების მიზნები, აქვთ გამოცდილება შესაბამისი საგნის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, გამოთქვამენ მზაობას, კოორდინირებულად იმუშაონ დარგის სპეციალისტებთან ერთად. თუმცა, არ იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა. კერძოდ, მოდულის სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერების მნიშვნელობა, შეფასების პრინციპები. სასურველია, ამ მიმართულებით ჩაუტარდეთ ტრენინგი.

საბჭოს წევრის, შორენა ჯაფარიძის კითხვა ეხებოდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციას წლიურ გეგმასთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა, შესრულდა თუ არა ეს რეკომენდაცია.ექსპერტმა უპასუხა, რომ წინა ვიზიტის რეკომენდაციები გამოსწორებულია და შეესაბამება სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარის, მარიამ ჩაგელიშვილის კითხვა დამაზუსტებელი ხასიათის იყო. მისი თქმით, დასკვნაში წერია, რომ ვიზიტის დროს, 13 მარტს, უკვე არსებობდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ეს ნაკლული მატერიალური რესურსი, რაც სჭირდება კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულებას მიეწოდებოდა მარტის ბოლოს. ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ხელშეკრულების ვადის მიხედვით, დაწესებულებას უნდა მიეღო აღნიშნული რესურსი 31 მარტის ჩათვლით. ზოგადად, კოლეჯი ამ პროგრამისთვის უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბაკურაძემ აღნიშნულ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ ყველაფერი მოწოდებულია და აქვთ მიღება-ჩაბარების აქტებიც. მისი თქმით, სამ ეტაპად მოხდა რესურსის მიწოდება. ქვეყანაში Covid-19 ის მიერ გამოწვეულმა მდგომარეობამ ვადები ცოტა გადაწია, თუმცა მათ უკვე ყველაფერი მიიღეს სამ ნაწილად - 25 მარტს, 1 აპრილს და ბოლოს, 1 მაისს.დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე ატვირთულია მიღება-ჩაბარების აქტები ხელშეკრულების შეთანხმებებთან ერთად. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმება ექსპერტებს. იმ ეტაპისათვის, როცა ისინი იყვნენ ვიზიტზე, 13 მარტს, არ იყო დაწყებული ტრენინგების ციკლი. განხორციელებული იყო მხოლოდ შერჩევის პროცესი. ამჟამად ტრენინგები დასრულებულია, ჩატარდა კიდეც ონლაინ შეხვედრა ტრენერებთან, თითოეული მიმართულებით და აღნიშნა, რომ შერჩეული მასწავლებლებიდან 90% შეფასდა უმაღლესი ქულებით. მათ გაიარეს ამ ტრენინგების სრული ციკლი და შესაბამისი შეფასებაც მიიღეს. სკოლის მასწავლებლებმა, რომლებისთვისაც უცხო იყო პროფესიული პროგრამის განხორციელების სპეციფიკა, ძალიან კარგად აუღეს ალღო და ძალიან კარგი შეფასებები აიღეს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საბჭოს წევრებს. რადგან დამატებითი შეკითხვები არ დასმულა, საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის და მოწოდებული დეტალური ინფორმაციისთვის. მან დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა რომ, მიუხედავად იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტებიმატერიალური რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით, რომელბიც არ ჰქონდათ ვიზიტის მიმდინარეობისას, რის გამოც აღნიშნულ კომპონენტში ექსპერტების შეფასება იყო - მეტწილად და არა სრულად შესაბამისი სტანდარტთან, ამჯერად აქვთ და ისინი ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე, საჭიროა წარმოდგენილი იყოს მტკიცებულებად, რათა საბჭომ უფლებამოსილების ფარგლებში შეძლოს გადაწყვეტილების მიღება. ასევე საჭიროა მტკიცებულება, რომელიც ეხება მასწავლებელთა გადამზადებას. როგორც ითქვა, ტრენინგები ჩატარდა და საკმაოდ მაღალი შეფასებები დაიმსახურეს ტრენინგების შედეგად მასწავლებლებმა. საჭიროა წარმოდგენილი იყოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც, რათა საბჭომ იმსჯელოს ამ კომპონენტის გაუმჯობესებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ელ. ფოსტაზე გამოაგზავნა მასწავლებელთა შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია, ორივე მასწავლებლის დადებითი შეფასებები და შესყიდვების დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აქვს შესაძლებლობა, დაწესებულებას შესთავაზოს და მოითხოვოს მონიტორინგი, მათთან შეთანხმებულ ვადებში, იმისათვის, რომ, მიუხედავად წარმოდგენილი დოკუმენტებისა, ადგილზე ინახოს მატერიალური რესურსი და მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ასევე, შეთანხმებული ვადის შემდეგ ინახოს აღნიშნული მასწავლებლების სამუშაო პროცესი, მათი კვალიფიკაცია და უნარები. მისი თქმით, მიზანშეწონილი იქნება, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელება ხარისხის ცენტრის მხრიდან.

დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა მონიტორინგის ჩატარებაზე 6 თვის შემდეგ ვადაში 2.2. კომპონენტის გადასამოწმებლად, ვიზიტის საშუალებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასაკითხისსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, იმ დათქმით, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ ცენტრი განახორციელებს მონიტორინგის ვიზიტს დაწესებულებაში და ვიზიტის მიზანი იქნება 2.2. კომპონენტის შემოწმება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 11).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 მაისი.

12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „დეკორატიული მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები -საკითხისგანხილვა

პრეზენტაცია საბჭოს წევრებს წარუდგინა ექსპერტმა თეა ლილუაშვილმა. მისი თქმით, ეს იყო „დეკორატიული მებაღეობის“ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება. აღნიშნული დაწესებულება ,,დეკორატიული მებაღეობის“ პროგრამას უკვე ახორციელებს, აქვს ავტორიზაცია და ზუგდიდის ბაზაზე ახორციელებენ დუალური ფორმით, ხოლო სენაკის ბაზაზე - მოდულური მიდგომით. მოდულურ პროგრამაზე კვოტა არის 30, აქედან დაწესებულებას 15 ადგილზე სურს, განახორციელოს ინტეგრირებული პროგრამა. შესაბამისად, წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია და სასწავლო გეგმა ინტეგრირებული პროგრამით. ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 12 მარტს ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. N 192-ში, დაწესებულების ბაზაზე, სადაც გაეცნენ მატერიალურ რესურს, გაესაუბრნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ასევე ჰქონდათ ინტერვიუები ინტეგრირებული პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტებში გაცემული რეკომენდაციებიდან ამ ეტაპისთვის ყველა შესრულებულია.

რაც შეეხება რეკომენდაციების შინაარსს, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო პროფესიული მასწავლებლის ტრენინგთან დაკავშირებით, მოდულურ სწავლებასთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა, რომ მათი მასწავლებლების უმეტესი ნაწილი 2015 წლიდან არიან ჩართულები მოდულური სწავლების პროცესში და ბევრი ტრენინგი აქვთ გავლილი, ხოლო ისინი, ვინც ახლად აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან, სასწავლო პროცესში ერთვებიან სექტემბრის თვიდან. შესაბამისად, ვიდრე ჩაერთვებიან სწავლების პროცესში, მანამდე ჩაუტარდებათ ტრენინგი მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.

მეორე რეკომენდაცია ეხებოდა B ტიპის გარემოს პირველ სართულზე განთავსებას. ვიზიტზე ყოფნის დროს პირველი სართულის A ტიპის გარემოში მათ ჰქონდათ განთავსებული სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის, რადგან ბიბლიოთეკა მეორე სართულზეა. ასევე 3 კომპიუტერი, რომ ელექტრონული რესურსები ყოფილიყო ხელმისაწვდომი შშმ სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, A ტიპის გარემოში შესაძლებელია შეიქმნას B ტიპის გარემო, თუ ამის საჭიროება დადგება, რადგან აღჭურვილია ლეპტოპებით და მათი გადაადგილება მარტივია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუკი პროგრამაზე ეყოლებათ შშმ სტუდენტი, ის ლეპტოპები, რომლებიც ნახსენები იყო, გამოადგებოდათ, მაგრამ ექსპერტებმა რეკომენდაცია იგივე დატოვეს, რომ მესამე სართულიდან B ტიპის გარემო გადატანილი ყოფილიყო პირველ სართულზე.

რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, ორი ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია იყო გაცემული: ერთი ჩანაწერი ეხებოდა მოდულის განხორციელების ადგილს. დაწესებულება ორ მისამართზე ახორციელებს პროგრამებს, ზუგდიდსა და სენაკში. შეცდომით იყო აღნიშნული სენაკის მისამართზე ის ქუჩა, რომელიც ზუგდიდშია. მეორე შენიშვნა ეხებოდა სახელმძღვანელოების

შესახებ ინფორმაციას. სახელმძღვანელოების ჩამონათვალში იყო რამდენიმე გრიფირებული სახელმძღვანელო და ამის შემდეგ კიდევ ეწერა ზოგადი ჩანაწერი - გრიფირებული სასწავლო რესურსები და არ იყო მითითებული კიდევ რაიმე ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოს გულისხმობდნენ თუ არა. სხვაგვარად რომ ითქვას, სახელმძღვანელოების ჩამონათვალში მითითებული იყო კონკრეტული სახელმძღვანელოები და ასევე იყო ზოგადი ჩანაწერი გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. მიეცათ რეკომენდაცია, რომ გასწორდეს ჩანაწერი და დაკონკრეტდეს, თუ რომელ გრიფირებულ სახელმძღვანელოს გულისხმობენ, რომ გასაგები იყოს მასწავლებლისთვისაც და პროფესიული სტუდენტისთვისაც, რა რესურსი შეიძლება გამოიყენონ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასებასთან დაკავშირებულ რეგულაციას. შეფასების რეგულაციაში განსაზღვრული ჰქონდათ, როდის და რა ფორმით მიმართავს სტუდენტი გადაბარების მოთხოვნით დაწესებულებას, თუ ეს მოდული არის მეორე მოდულის წინაპირობა, მაგრამ თუ წინაპირობა არ არის, პროგრამაში არსებული ჩანაწერით ამ პროგრამის დასრულებამდე შეუძლია მოითხოვოს პროფესიულმა სტუდენტმა გადაბარება. რეკომენდაცია იყო, რომ რეგულაციაში ამ კუთხითაც ჩაიწეროს პროცედურები, ფორმები და ვადები, რის მიხედვითაც შეეძლება პროფესიულ სტუდენტს, იხელმძღვანელოს, რაც დაეხმარება დაწესებულებას განმეორებით სწავლის შედეგის დადასტურებასა და რესურსის ორგანიზებაში. მეორე საკითხი, რაც ასევე შეფასების რეგულაციასთან არის დაკავშირებული, არის პროფესიული სტუდენტების ინფორმირება მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ, მას შემდეგ, რაც დაუდასტურდება სწავლის შედეგი - რა შეფასება მიიღო, მიიღო თუ არა დადებითი შეფასება, ვინ აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტს, რა ფორმით და რა ვადებში. აღნიშნული უნდა განისაზღვროს შეფასების რეგულაციაში.

B ტიპის გარემოსთან დაკავშირებით უკვე ითქვა, იყო რეკომენდაცია, რომ იყოს პირველ სართულზე. რაც შეეხება სხვა მატერიალურ რესურს: A და B ტიპის გარემოები გათვლილი იყო 15-15 სტუდენტზე და შესაბამისად იყო წარმოდგენილი, C გარემოც, რომელიც ასევე 15 სტუდენტზე იყო გათვლილი, მაგრამ აქ რამდენიმე დასახელება, რაც ჩამონათვალში ჰქონდათ, არ იყო იმ დროისთვის დაწესებულებაში წარმოდგენილი. ხელშეკრულება იყო გაფორმებული მომწოდებელთან, სადაც განსაზღვრული იყო მოწოდებისთვის - 45 დღე. შრომის და სწავლის უსაფრთხოების მიზნით A, C გარემოში დამონტაჟებული იყო გამწოვი კარადა, სველი წერტილები და პრეპარატებისთვის არსებობდა ასევე სპეციალური შესანახი, რაც უსაფრთხო B გარემოსთვის არის. ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა შესაბამისი ფოტოები.

რაც შეეხება მოდულის განმახორციელებელ პირებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ჩართული იყო ინტეგრირებული მოდულის პილოტირებაში და მათ უკვე ჰყავდათ დაკონტრაქტებული ინტეგრირებული მოდულისთვის მასწავლებლები, რომლებიც ჩართული იყვნენ პილოტირებაში. ახალი შერჩეული მასწავლებლები გადიოდნენ ტრენინგებს, ნაწილს უკვე ჰქონდა ტრენინგის პირველი ნაწილი გავლილი ვიზიტის პერიოდში, ზოგიერთისთვის კი დაგეგმილი იყო. მათთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ რაც მთავარია, ხედვა ჰქონდათ სწორი და ტრენინგებიდან მიღებული გამოცდილებით ფიქრობდნენ, რომ ახლებური მიდგომებით იმუშავებდნენ სტუდენტებთან. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ტრენინგზე მიღწეული შედეგით და განხილვის პროცესშიც ეტყობოდათ, რომ კარგად ჰქონდათ გააზრებული ყველა მმნიშვნელოვანი საკითხიპროგრამას ჰყავს ასევე დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის ბრძანებით დანიშნული და გაწერილი აქვს შესასრულებელი სამუშაოები. პროგრამის დონე არის მეოთხე, საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - მებაღეობაში და მოთხოვნილი ადგილის რაოდენობა - 15, რასაც ექსპერტები ეთანხმებიან. პროგრამის განხორციელების ადგილია - ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N 192.

პროგრამის განხორციელების რესურსში არის შეფასება ,,მეტწილი შესაბამისობა“, გამომდინარე იქედან, რომ რამდენიმე რესურსზე გაფორმებული იყო ხელშეკრულება, თუმცა ჯერ არ იყო მოწოდებული. მეორე ,,მეტწილი შესაბამისობა“ არის სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტის შეფასება, იმ რეკომენდაციებიდან გამომდინარე, რაც შეფასების რეგულაციასთან დაკავშირებით ჰქონდათ გაცემული.

ინგა ბოჭოიძემ დაამატა, რომ ექსპერტთა ვიზიტი იყო ძალიან თანამშრომლობითი და სამუშაო გარემო საინტერესო იყო ამ თვალსაზრისით. აღნიშნული პროფესიული პროგრამის განხორციელება იგეგმება სენაკში. სენაკში არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები და პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისად, აკადემიური პროგრამის განხორციელებას ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ ემუქრება და ხელი არ შეეშლება.

ექსპერტმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ, რაც არ იყო ვიზიტის მომენტისთვის, კონკრეტულად, ქიმიის მიმართულებით, მისი შემცვლელი იმ დროს ადგილზე ჰქონდათ. მაგალითად, არ იყო ელექტრო ქურა, რომელზეც შესაძლებელია ბრტყელძირიანი კოლბა გაცხელდეს, მაგრამ ჰქონდათ კომბაინ გამაცხელებელი, რომლითაც შესაძლებელი იყო აღნიშნულის გაკეთება.

ექსპერტმა ქეთევან გელაშვილმა დაამატა, რომ როგორც დარგის სპეციალისტი, ისე იყო ჩართული პროცესში, კარგად იცნობს პროგრამას, მანამდეც ჰქონდა შეხება ამ პროგრამასთან და ამ უნივერსიტეტთან. ასვე იცნობს როგორც მატერიალურ ისე ადამიანურ რესურსს.

დაწესებულების რექტორმა, თეონამ ხუფენიამ აღნიშნა, რომ იცნობს ამ რეკომენდაციებს, რაც იქნა დაფიქსირებული. მან აღნიშნა, რომ მათი ძლიერი მხარე ამ ნაწილში არის მათი ჩართულობა. ზოგადად, ისინი ჩართული იყვნენ ინტეგრირებული მოდულების პილოტირების პროცესში. ასევე ადამიანური რესურსიც გადამზადებული ჰყავდათ, რომელიც ჩართული იყო ამ პროცესში, ესეც არის მათი ძლიერი მხარე. ზოგადად მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ ინტეგრირებული პროგრამები ინერგება. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის, მათი დამოკიდებულებისთვის. რაც შეეხება რეგულაციების ნაწილს, მან ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებები მიდის უმაღლესი და პროფესიული დაწესებულებების რეგულაციებში, კეთდება ერთმანეთისგან გამიჯვნა. მისი თქმით, მომზადდა ბრძანება, რომლითაც პირველ აპრილს, პირველ კვარტალში უნდა დაესრულებინათ სრულად რეგულაციების გამიჯვნა, მაგრამ სამწუხაროდ, კორონა ვირუსთან დაკავშირებით სხვა პრიორიტეტები გამოიკვეთა და ზოგადად, ყველა ჩაერთო ელექტრონული სწავლების რეგულაციების დანერგვაში. რეგიონში მათ შეძლეს უმაღლეს განათლებაში დისტანციური სწავლების დანერგვა. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, მათ ჰქონდათ მზაობა, რომ დისტანციურად მომხდარიყო პროგრამების განხორციელება. მან ასევე აღნიშნა, რომ მომზადდა ბრძანება, რომლის საფუძველზეც იურიდიულ სამსახურს მისცა ბაზის გამიჯვნის უფლებამოსილება არა უგვიანეს პირველი აგვისტოსი, თუმცა პროცესი დაწყებულია და ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი პროფესიული სასწავლო პროცესისთვის - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ეხება პროგრამის შემუშავებას, შერჩევის კრიტერიუმებს, შერჩევის მეთოდებს,უკვე აქვს დაწესებულებას და მას არანაირი კავშირი არ აქვს უმაღლესთან. ასევე აქვთ მასწავლებლის შერჩევის წესი. ის, რაც უშუალოდ სასწავლო პროცესთანაა მიბმული, მისი გამიჯვნა უკვე მოხერხდა, მაგრამ კიდევ მოდიფიცირების პროცესშია, რადგან უნდათ, რომ ჩააშენონ ახალი რეგულაციები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით. პირველ აგვისტომდე გამიჯვნის პროცესი დასრულდება.

დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან საუბარი იყო ასევე რეგულაციაში გამოცდის ხელახლა ჩაბარების საკითხთან დაკავშირებით, რაც მათთან რექტორის ინდივიდუალური აქტით რეგულირდებოდა, რომელსაც საფუძვლად ედო პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი, არგუმენტაცია, რომელიც დაფუძნებული იყო პროგრამის ხელმძღვანელისა და სპეციალისტის, სასწავლო პროცესის მონიტორის რეკომენდაციაზე. აბსოლუტურად მისაღებია მისთვის რეკომენდაცია, რომ გამოცდის ხელახლა ჩაბარება რექტორის ინდივიდუალური აქტით განისაზღვროს, რეგულაციაში იქნება გათვალისწინებული, რომ იქნება დაფიქსირებული სტუდენტის პირადი განცხადება და ამაზე იქნება დაფუძნებული შემდგომი რეგულაცია. ამიტომ ეს რეკომენდაცია მისაღებია.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტში ყველაზე ძლიერი მხარე არის უმაღლესი და პროფესიული პროგრამების სწავლებისათვის შეძენილი არაერთი აღჭურვილობა, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული ადამიანი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, უზრუნველყოფილი იყოს კომპიუტერული ტექნიკით, პროფესიული განათლებისთვის მათ აქვთ კომპიუტერების მარაგი. აუცილებლად უზრუნველყოფენ კომპიუტერით პროფესიულ სტუდენტებს, თუ მათ ექნებათ ამის საჭიროება. მატერიალური რესურსის და B გარემოს შექმნის პრობლემა მათ არ აქვთ პირველ სართულზე. უბრალოდ ჩათვალეს, რომ იმ დროისთვის არ იყო ამის საჭიროება. საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს, უნივერსიტეტს აქვს მზაობა, თავისუფლად გამართოს აბსოლუტურად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია. დღეს სენაკში მუშაობს 4 ლაბორატორია, ხოლო ზუგდიდში - 7 და აქვთ მარაგში ლეპტოპები, თუ დასჭირდებათ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ამ ნაწილში პრობლემა არ ექნებათ.

მარიამ ჩაგელიშვილის კითხვა ეხებოდა 2. 2. 1 კრიტერიუმს, რაც გულისხმობს მატერიალურ რესურს, კერძოდ, მისი შეკითხვა ეხებოდა ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიებში ვიზიტის დროს არარსებულ რამდენიმე ხელსაწყოს. ისდაინტერესდა, ზოგადად, მატერიალური რესურსი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, 45 დღის განმავლობაში უნდა ჩაბარებოდათ, ადგილზე არის თუ არა.
დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო, რომ კორონა ვირუსთან დაკავშირებული მოვლენების გამო ეს ყველაფერი დაგვიანდა, მაგრამ პროცესი არ შეწყვეტილა, მატერიალური რესურსი გზაშია და პრობლემა ნამდვილად არ შეიქმნება ამის გამო.

ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა, რომ ტექნიკურ ხარვეზს ჰქონდა ადგილი - ეწერათ ავტორი და სახელმძღვანელო ჩამონათვალში. საუბარი იყო დამატებით ჩანაწერზე - გრიფირებული სახელმძღვანელო. მისი თქმით, უკვე ჩაშალეს ყველა ლიტერატურა, დააკონკრეტეს და ხარვეზი გასწორებულია.

საბჭოს წევრის, შორენა ჯაფარიძის კითხვა ეხებოდა მატერიალურ რესურსს. იგი დაინტერესდა ექსპერტის ნათქვამით, რომ შესაძლებელია, დაწესებულებას მატერიალური რესურსი არ ჰქონდეს, რომელიც არის მითითებული მათ ჩამონათვალში, თუმცა შესაძლებელია, ეს მატერიალური რესურსი ჩანაცვლებულ იქნას სხვა რესურსით, რომლითაც უზრუნველყოფისლი იქნება სწავლის შედეგზე გასვლა. შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, რეალურად არსებული მატერიალური რესურსის გამოყენებით მათ შეუძლიათ, გავიდნენ სწავლის შედეგზე თუ არა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ რადგან ჩამონათვალში არსებული მატერიალური რესურსი დაწესებულებაში არ იყო ვიზიტის დროს, ამიტომ დაწერეს ,,მეტწილი შესაბამისობა“. მისი თქმით, ალტერნატივები ქიმიის ლაბორატორიაში არსებობდა, რაც შეეძლოთ გამოეყენებიათ,

თან შეძენის პროცესში იყო დაწესებულება. შესაბამისად, ეს აისახა დასკვნაშიც. რაც შეეხება ფიზიკას, იყო რამდენიმე რესურსი, რისი ალტერნატივაც დაწესებულებას არ ჰქონდა.

შორენა ჯაფარიძეს ამჯერად დაწესებულების წარმომადგენელთან ჰქონდა კითხვა. მისი თქმით, ხდება ახალი რეგულაციის შემუშავება, უმაღლესის და პროფესიულის გამიჯვნა. იგი დაინტერესდა, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ხომ არ აფერხებს ეს პროფესიული პროგრამების დამტკიცების პროცესს და გეგმავს თუ არა დაწესებულება ამ პროცესის გამარტივებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეონა ხუფენიამ უპასუხა, რომ ზოგადად, მათი დაწესებულება პატარა უნივერსიტეტია და ძალიან მოქნილი გარემოა. თუ წააწყდება იმ პრობლემას, რომ პროცესები ნელა მიდის, პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების ნაწილში, მალევე შეუძლია შეიტანოს ცვლილება - რექტორის აქტით განსაზღვროს, მაგრამ მათთვის ძალიან ღირებულია, როცა აკადემიურზე გააქვთ პროფესიული პროგრამები და ამასთანავე აქვთ კარგი პრაქტიკა. რექტორთან შეიქმნა სტუდენტთა სათათბირო, არა მარტო სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა სათათბირო. თუ ზოგადად, აკადემიური საბჭო წყვეტს უმაღლესი განათლების საკითხებს, ამ უნივერსიტეტის ხიბლი ისაა, რომ აკადემიური საბჭოს დონეზე აიყვანეს პროფესიული განათლება. თუ ეს პროცესი რაიმე შეფერხებას გამოიწვევს, არაფერი არ შეუშლის ხელს, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის ბრძანებით მოხდეს ამ საკითხის სხვაგვარად რეგულირება დაწესებულების რექტორის თქმით, ეს პროცესი ჯერჯერობით ისე დარჩება, როგორც ამ ეტაპისთვის არის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საბჭოს წევრებს. რადგან დამატებითი შეკითხვები არ დასმულა, საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულებას ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებისთვის. საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტა კენჭისყრა მოხდეს შემდეგი დათქმით, განხორციელდეს 2.2 და 2.4 კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება ვიზიტის საშუალებით. დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულს და მონიტორინგისთვის მომზადების ვადად ითხოვა 4 თვე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „დეკორატიული მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
მოხდა პროგრამის პარამეტრების წაკითხვა, რასაც დაეთანხმა ექსპერტებიც და დაწესებულებაც.
მონიტორინგის დრო განისაზღვრა საბჭოს თარიღიდან ოთხი თვის შემდეგ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „დეკორატიული მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შემდეგ მისამართზე: სენაკი, მშვიდობის ქ. №192 **(დანართი 12).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 მაისი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:22 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჩაგელიშვილი მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯაფარიძე შორენა